საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/10863
16/11/2023

10863-09-2-202311161146

ააიპ „ჩემი იმერეთი“-ს

დირექტორს ლაურა გოგოლაძეს

ელექტ. ფოსტა: gogoladze.laura@gmail.com

ქალბატონო ლაურა,

სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 2023 წლის 25 ოქტომბრის N35651 წერილის საფუძველზე, იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ 26 ოქტომბერს არაგეგმური სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა შემდეგ ბიზნესოპერატორებთან: ი.მ. „მერიკო გურეშიძე“ ს/კ18001019297, ყველის რეალიზაცია, დახლზე ვაჭრობა აგრარულ ბაზარში, ფაქტიური მისამართი: ზესტაფონი, ჭანტურიას ქ. №42; ი.მ. „ირინა ბლიაძე“ ს/კ 18001010319, სასურსათო მაღაზია, მარკეტი, ფაქტიური მისამართი: ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. №2; შპს „მადაგონი 2“ ს/კ 416294557, სასურსათო მაღაზია, მარკეტი, ფაქტიური მისამართი: ზესტაფონი, ქუთაისის ქ. №1;

სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას დადგინდა, რომ ი.მ. მერიკო გურეშიძე“ (ს/კ 18001019297, ყველის რეალიზაცია, დახლზე ვაჭრობა აგრარულ ბაზარში, ფაქტობრივი მისამართი: ზესტაფონი, ჭანტურიას ქ. №42) საქმიანობდა ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, რის გამოც დაჯარიმდა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს მუხლი 65 ნაწილი I-ის შესაბამისად და შეუჩერდა საქმიანობა რეგისტრაციამდე. დადგინდა, რომ 2023 წლის 9 ოქტომბერს შეძენილი იმერული ყველის ნაშთი სრულად იყო რეალიზებული. მან წარმოადგინა ოჯახური წარმოების სუბიექტად რეგისტრაციის დოკუმენტები, თუმცა 9 ოქტომბერს რეალიზებულ ზემოაღნიშნულ ყველზე ვერ წარმოადგინა. გამოვლენილი არაკრიტიკული შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად გაცემულ მითითებებზე ბიზნესოპერატორს განესაზღვრა გონივრული ვადა. მიეცა რეკომენდაცია ყველის რეალიზაცია განხორციელდეს მხოლოდ ოჯახური წარმოების სუბიექტებიდან მიღებული ყველის შემთხვევაში.

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

ი.მ. „ირინა ბლიაძე-ს“ (ს.კ. 18001010319, სასურსათო მაღაზია, მარკეტი, ფაქტობრივი მისამართი: ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. №2) ინსპექტირებისას დადგინდა, რომ 2023 წლის 9 ოქტომბერს შეძენილი ყველი სრულად იყო რეალიზებული. ბიზნესოპერატორმა ვერ წარმოადგინა რეალიზაციაში არსებული ყველის მიკვლევადობასთან დაკაშირებული მოთხოვნები, რის გამოც უფლებამოსილი პირების მიერ დაჯარიმდა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მუხლი 73-ის საფუძველზე, მიეცა რეკომენდაცია, ყველის რეალიზაცია განხორციელდეს მხოლოდ ოჯახური წარმოების სუბიექტებიდან მიღებული ყველის შემთხვევაში. გამოვლენილი არაკრიტიკული შეუსაბამობებზე გაცემული მითითებების აღმოსაფხვრელად ბიზნესოპერატორს განესაზღვრა გონივრული ვადა.

შპს „მადაგონი 2“-ის (ს/კ 416294557, სასურსათო მაღაზია, მარკეტი, ფაქტიური მისამართი: ზესტაფონი, ქუთაისის ქ. №1) ინსპექტირებისას 2023 წლის 9 ოქტომბერს შეძენილი „ქარხნის ყველი“ (მწარმოებელი: ი.მ. მ. ეგოიანი, ს/ნ 32001000597, ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორლოვკა) რეალიზაციაში არ იყო. მარკეტში არაკრიტიკული შეუსაბამობები არ დაფიქსირებულა.

სამცხე - ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ არაგეგმური სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა ი.მ „მელანია ეგოიან“-თან, ს/კ 32001000597 (რძე და რძის პროდუქტები, ნედლი რძის თერმული დამუშავება, ყველის წარმოება) ფაქტიური მისამართი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ორლოვკა, მე-3 ქ. #13. არაგეგმური ინსპექტირებისას გამოვლინდა არაკრიტიკული შეუსაბამობები, რაზეც ბიზნესოპერატორს მიეცა მითითებები გონივრული ვადის გათვალისწინებით, ამასთანავე სამმართველოს უფლებამოსილი პირების თანდასწრებით დალუქულ იქნა ბიზნესოპერატორის მიერ წარმოებული ყველი და დაევალა ნიმუშების ლაბორატორიული კველვა შესაბამის მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი